
სამართლებრივი ტენდენციები

სასჯელალსრულება და სანქციები საქართველოში – მიმოხილვა დასავლური თვალსაზრისით

ჰელმუტ კური*
ნათუნა კაპანაძე**

1. შესავალი

სასჯელალსრულების ადგილებში არსებული სიტუაცია ასახავს ცალკეულ ქვეყანასა თუ რეგიონში არსებულ საზოგადოებრივ და, უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკურ პირობებს. სწორედ ამაზე წერდნენ რუშე და კირხჰაიმერი გასული საუკუნის 30-იან წლებში თავიანთ კრიტიკულ მიმოხილვაში.¹ მაშინ, როდესაც ქვეყნის ეკონომიკა განუვითარებელია, უმუშევრობის დონე მაღალია, ცხოვრების პირობები არახელსაყრელი და ადამიანებს უწევთ ბრძოლა არსებობისათვის, შეუძლებელია მოელოდე, რომ დიდი ძალისხმევა დაეთმოთ სასჯელალსრულების ადგილებში მდგომარეობის გაუმჯობესებას. როდესაც ქვეყნის მოსახლეობა ზოგადად ცუდ მდგომარეობაშია, მთელი ძალისხმევა მიმართულია ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისაკენ და მხოლოდ ამის შემდეგ ექცევა ყურადღება იმ პირობებს, რომლებშიც იხდინ სასჯელს პატიმრები. ხალხს სურს აღიქვას სასჯელალსრულება, მისი სახელწოდებიდან გამომდინარე, როგორც სასჯელის მოხდა და, ამის მიხედვით, მათი აზრით, პატიმრის ცხოვრების პირობები უნდა განსხვავდებოდეს თავიანთი, თავისუფალი ადამიანების ცხოვრების პირობებისაგან. თავისუფლების აღკვეთა, როგორც ასეთი, ამკარად არ არის საკმარისი, განსაკუთრებით იმ მიზეზის გამო, რომ არ არსებობს დაწვრილებითი ინფორმაცია, თუ რას ნიშნავს ეს პატიმრისათვის და რა დღია მისი ოჯახისა და ახლობლებისათვის.² გამუდმებული კრიტიკული შედარება სასჯელის „სასტუმროში მოხდასთან“ ნათლად გამოხატავს ამ პრობლემას. ის, რაც უნდა იქნეს გაგებული „სასტუმროში“ დამოკიდებული ადამიანების მდგომარეობაზე კონკრეტულ სახელმწიფოში. უნდა არსებობდეს მეტ-ნაკლებად მკაფიო ზღვარი „შიგნით“ და „გარეთ“ არსებულ მდგომარეობას შორის, პატიმრობა უნდა იქნეს აღქმული სასჯელად, როგორც ჩამორთმევა იმ უპირატესობებისა, რომლებიც „ჩვეულებრივ“ მოქალაქეს აქვს. წინააღმდეგ შემთხვევაში იარსებებს კრიტიკა მოსახლეობის მხრიდან. მაგალითად, 1976 წელს ფედერალური სასჯელალსრულების კანონის განხილვისას კანონმდებელმა უარყოფითი პასუხი გასცა კითხვას – შეეძლოთ თუ არა პატიმრებს კერძო ტელევიზორების ქონა საკნებში, რადგანაც ტელევიზორი სასჯელალსრულების საკნის გარეთაც არ იყო ყველასათვის ჩვეულებრივი მოვლენა.³ მხოლოდ 1998 წელს სასჯელალსრულების შესახებ კანონში ცვლილებების შეტანის შემდეგ იქნა დაშვებული ტელევიზორის ქონა ციხეებში, ვინაიდან ტელევიზორი უკვე ითვლებოდა გერმანული ოჯახის „ჩვეულებრივ მონყობილობად“.

* ფრაიბურგის უნივერსიტეტის პროფესორი, გერმანია; საზღვარგარეთის ქვეყნებისა და საერთაშორისო სისხლის სამართლის მაქს პლანკის ინსტიტუტის უფროსი მკვლევარი.

** ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომელი.

¹ *Rusche/Kirchheimer*, Punishment and social structure, 1968 (1. ed. in 1939).

² *Kury/Kern*, Frauen und Kinder von Inhaftierten: Eine vergessene Gruppe oder die hinzunehmenden Kolateralschäden, 2003.

³ *Dünkel/Snacken*, Strafvollzug im europäischen Vergleich: Probleme, Praxis und Perspektiven, Zeitschrift für Strafvollzug und Straffälligenhilfe 50, 2001, 206.

ამ ფონზე სრულიად არ არის გასაკვირი, რომ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების სასჯელალსრულების ადგილებში სიტუაცია გაცილებით უარესია დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან შედარებით, ვინაიდან აღმოსავლეთი და ცენტრალური ევროპის, მათ შორის ყოფილი სოციალისტურ-კომუნისტური სისტემის ქვეყნების მოსახლეობა ზოგადად გაცილებით უარეს პირობებში ცხოვრობს, ვიდრე დასავლეთ ევროპაში. აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში პატიმართა რიცხვიც – თუ არ მივიღებთ მხედველობაში აშშ-ის მონაცემებს – საგრძნობლად აღემატება დასავლეთის განვითარებული ქვეყნების მონაცემებს, რაც იწვევს ციხეების გადატვირთვასა და სიტუაციის გამძაფრებას.⁴ ევროპის 45 ქვეყანას შორის 1997 წელს საქართველომ დაიკავა მე-14 ადგილი 100 000 მოსახლეზე პატიმართა რაოდენობის მიხედვით (145 პატიმარი) და ჩამორჩა, მაგალითად, რუსეთს (685), ბელორუსს (505), უკრაინას (415) და სხვა, უმთავრესად, ყოფილ სოციალისტურ-კომუნისტურ ქვეყნებს, მაგრამ გაუსწრო დასავლეთ ევროპის უმეტეს ქვეყანას, მათ შორის გერმანიას (90).⁵

ყოფილ სოციალისტურ-კომუნისტური ქვეყნების მოსახლეობის უდიდესი ნაწილი აწყდება ყოველდღიურ მძიმე პრობლემებს და უხდება ბრძოლა არსებობისათვის, ნაწილობრივ უკიდურესი სიღატაკის პირობებში. როდესაც მოსახლეობის მდგომარეობა ცუდია, პატიმრები უბრალოდ კატასტროფულ მდგომარეობაში იმყოფებიან. ბოლო წლებში ასეთ მდგომარეობაზე აღმოსავლეთი და ცენტრალური ევროპის ქვეყნებში დანვრილებით წერდა ჟურნალი *Zeitschrift für Strafvollzug und Straffälligenhilfe*.⁶ ასე მაგალითად: კვება საქართველოს ციხეებსა და თბილისის ცენტრალური ციხის საავადმყოფოშიც კი იმდენად მწირია, რომ პატიმართა ნათესავები, თუკი მათ ამის შესაძლებლობა აქვთ, თავს ვალდებულად თვლიან, მონაწილეობა მიიღონ პატიმრების კვების პრობლემის მოგვარებაში.

2. სასჯელალსრულების სისტემა და სანქციის გამოყენების პრაქტიკა საქართველოში

სატუსალოების ძირითადი სახე საქართველოში, ისევე როგორც რუსეთსა და სხვა პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებში, არის კოლონიები.⁷ ტიპურად გვევლინება პატიმრების მოთავსება ბარაკის ტიპის შენობებში, სადაც დიდ საძინებელ ოთახში არის 100 ადგილი. ადამიანის განმარტობის შესაძლებლობა ამ ტიპის დაწესებულებაში თითქმის არ არსებობს. საძინებელი ოთახები კოლონიებში იმგვარად არის ინტეგრირებული, რომ პატიმრებს დღისით თავისუფლად შეუძლიათ გადაადგილება კოლონიის ტერიტორიაზე.

ამ ქვეყნებში მეორე ძირითადი ტიპი სატუსალოებისა არის ციხეები, სადაც პატიმრები იმყოფებიან შედარებით პატარა შენობებში, რომლებშიც ხშირად საკანში 10 სანოლი არის განთავსებული. ამ ტიპის სატუსალოებში საკნები დღის განმავლობაში დაკეტილია. ზოგჯერ არ არის საკმარისი ადგილი (სანოლი) და, შესაბამისად, პატიმრებს რიგრიგობით უწევთ ძილი. ხშირად ტუალეტი ოთახშივეა მოთავსებული და საჭიროების შემთხვევაში იგი სანოლებისაგან

⁴ Arloth, Neue Entwicklungen im Strafvollzug im internationalen Vergleich, Privatisierungstendenzen und Alternativen, *Zeitschrift für Strafvollzug und Straffälligenhilfe* 51, 2002, 3-8.

⁵ *Zeitschrift für Strafvollzug und Straffälligenhilfe* 50, 2001, 239.

⁶ იხ. რუსეთში არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით: *Pristawkin*, Ich flehe um Hinrichtung, Die Begnadigungskommission des russischen Präsidenten, 2003.

⁷ იხ.: *Lammich*, Das neue russische Strafvollzugsrecht, *Zeitschrift für Strafvollzug und Straffälligenhilfe* 46, 1997, 266-271; *Bothge*, Strafvollzug in Wladimir, Bericht über eine Vortrags- und Besuchsreise in Russland, *Zeitschrift für Strafvollzug und Straffälligenhilfe* 49, 2000, 35-39; *Ciklauri-Lammich/Lammich*, Aktuelle Situation des Strafvollzugs in Russland, *Zeitschrift für Strafvollzug und Straffälligenhilfe* 50, 2001, 94-99; *Hochstrasser*, Projektbezogene Einblicke in den russischen Strafvollzug, *Zeitschrift für Strafvollzug und Straffälligenhilfe* 51, 2002, 204-208; *Ullenbruch*, Strafvollzug in Ungarn, *Zeitschrift für Strafvollzug und Straffälligenhilfe* 44, 1995, 358-363; შეადარე, ასევე, *Kaiser*, Strafvollzug im europäischen Vergleich, 1983.

პატარა ტიხარით გამოიყოფა. საქართველოში 2001 წელს გასამართლებული 5.754 პატიმრის 97,7% სასჯელს იხდიდა კოლონიის ტიპის სასჯელალსრულების ადგილებში, რომელთა საერთო რაოდენობა 12-ს შეადგენდა. ამასთან, დაახლოებით 2.330 ადამიანი (თავისუფლებააღკვეთილთა 26,2%) იმყოფებოდა წინასაგამოძიებო პატიმრობაში ციხის ტიპის დაწესებულებებში (2001 წელს იყო ხუთი ამგვარი ციხე). სასჯელის მოხდა ხდება თავისუფლების აღკვეთის საერთო რეჟიმის (2001 წელს ორ ამგვარ დაწესებულებაში იმყოფებოდა 2.112 ადამიანი), მკაცრი რეჟიმისა (2001 წელს სამ ციხეში – 2.104 პატიმარი) და განსაკუთრებით მკაცრი რეჟიმის პირობებში (2001 წელს ერთ ციხეში – 450 პატიმარი). ამ ციხეებში მსჯავრდებულების განაწილება ხდება სავალდებულო, კანონით დადგენილი ისეთი კრიტერიუმების გათვალისწინებით, როგორებიცაა: წინა წასამართლეობა, დანაშაულის სახე და სასჯელის ზომა.

ზემოთ ჩამოთვლილი სასჯელალსრულების ადგილების გარდა, 2001 წელს საქართველოში აგრეთვე არსებობდა ციხის საავადმყოფო ტუბერკულოზით დაავადებული პატიმრებისათვის და კიდევ ერთი საავადმყოფო სხვა სენით დაავადებული პატიმრებისათვის (2001 წელს ამ საავადმყოფოებში იმყოფებოდა მთლიანად 665 ადამიანი). და ბოლოს, არის კიდევ ერთი თავისუფლების აღკვეთის ადგილი ქალებისათვის (137 პატიმარი) და ერთი არასრულწლოვანი დამნაშავეებისათვის 21 ადამიანზე (ახალი, შედარებით დიდი კოლონიის გახსნა არასრულწლოვანებისათვის დაგეგმილი იყო 2002 წლის შუა პერიოდისათვის). 2001 წელს საქართველოში იყო 8.884 პატიმარი (საგამოძიებო იზოლატორის ჩათვლით) და პატიმართა რაოდენობა 100 000 მოსახლეზე აღწევდა 160 ადამიანს. ეს საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი, რომელიც თუმცა შემცირდა 1997 წლიდან 12%-ით (დაპატიმრებულების რაოდენობა კი 25%-ით), არის სანქციების გამოყენების პრაქტიკის შედეგი, რაც ჯერ კიდევ თავისუფლების აღკვეთის გამოყენების პრეფერენციულობასა და მის დამაშინებელ ეფექტს ეყრდნობა. 2001 წელს შეფარდებულ სანქციებს შორის თავისუფლების აღკვეთის სანქციის გამოყენებამ პირობით მოხდის გარეშე შეადგინა 30,3%, თავისუფლების აღკვეთამ პირობით მოხდით – 39,6%, ხოლო ფულადმა ჯარიმამ მხოლოდ 26,3%. შედარებისათვის გერმანიაში ყოფილი დასავლეთ გერმანიისა და ბერლინის მიწის ტერიტორიაზე ზოგადი სისხლის სამართლის გამოყენებით 2000 წელს შეფარდებულ სანქციათაგან თავისუფლების აღკვეთამ პირობით მოხდის გარეშე შეადგინა „მხოლოდ“ 6,4%, თავისუფლების აღკვეთამ პირობით მოხდით – 13,2%, ხოლო ფულადმა ჯარიმამ 80,3%. აღნიშნული მიუთითებს, რომ დასავლეთ გერმანიაში, ბერლინის ჩათვლით, ზოგადი სისხლის სამართლის გამოყენებით შემთხვევების „მხოლოდ“ 19,6%-ს შეეფარდა თავისუფლების აღკვეთის სანქცია. არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის დებულებებით თავისუფლების აღკვეთამ პირობით მოხდის გარეშე შეადგინა „მხოლოდ“ 7,2%, ხოლო თავისუფლების აღკვეთამ პირობით მოხდით – 11,6%. საერთო ჯამში არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის დებულებებით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა არასრულწლოვანთა 18,9%-ს.

შემოთავაზებული შედარებიდან ნათელია სანქციების გამოყენებაში არსებული დიდი სხვაობა საქართველოსა და გერმანიას, ისევე როგორც ყოფილი აღმოსავლეთის ბლოკის ქვეყნებსა და განვითარებული დასავლეთის ქვეყნებს შორის. უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ დამნაშავეებისათვის თავისუფლების აღკვეთის გადაწყვეტილების ხშირი მიღება დამახასიათებელია არა მხოლოდ საქართველოსათვის, არამედ დსთ-ის ყველა ქვეყნისათვის, სადაც უფრო მეტად, ვიდრე დასავლეთის ქვეყნებში (აშშ გამონაკლისია), თავისუფლების აღკვეთა გამოიყენება როგორც დამინების მეთოდი. ამასთანავე, დამნაშავეობის მოცულობა ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნებში დაბალია, ანუ დასჯადობა ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში ტრადიციულად მნიშვნელოვნად მაღალია. აღნიშნული დაკვირვება ვრცელდება როგორც სანქციების გამოყენების არსებულ პრაქტიკაზე, ასევე მოსახლეობის განწყობაზე, თუმცა ეს ორი მომენტი ზეგავლენას ახდენს ერთმანეთზე. ასე მაგალითად, *პრისტავკინი* თავის საკმაოდ

კრიტიკულ ანგარიშში რუსეთში არსებულ სიტუაციაზე ხაზგასმით ამბობს, რომ იქ სიკვდილით დასჯას „აქვს ხანგრძლივი და ტანჯული ისტორია“⁸. მოსახლეობის გამოკითხვით აღმოჩნდა, რომ მოსკოვისა და პეტერბურგის 48% და პროვინციის მოსახლეობის თითქმის 60% თვლის, რომ მძიმე დანაშაულის ჩამდენის სახალხოდ სიკვდილით დასჯა მისაღებია.⁹ პრისტაკინის თქმით, რუსეთის მოქალაქეების სამართლებრივი ცნობიერება მიეჩვია თავისუფლების ხანგრძლივი ვადით აღკვეთისა და სიკვდილით დასჯის გამოყენებას.¹⁰ ნიშანდობლივია, რომ რუსეთს საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა სხვა წევრ ქვეყნებზე ზოგადად სისხლის სამართლისა და სანქციების განვითარების კუთხით.

ამასთან ერთად, უნდა დავამატოთ, რომ ხანგრძლივი ვადით თავისუფლება აღკვეთილი პატიმრების რაოდენობა ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში მნიშვნელოვნად უფრო მაღალია, ვიდრე დასავლეთის სახელმწიფოებში, ეს კი თავისთავად იძლევა პატიმართა მაღალ კვოტასა და გადავსებულ ციხეებს. 2001 წელს სამ წლამდე მისჯილების ხვედრითი წილი საქართველოში შეადგენდა 12,2%-ს (2000 წელს – 13,5%-ს), სამიდან ხუთ წლამდე მისჯილებისა – 21,7%-ს (17,8%-ს), 5-დან 10 წლამდე – 39%-ს (36%-ს) და 10-დან 15 წლამდე – 26%-ს (32,5%-ს). გერმანიაში 2001 (2000) წელს პროცენტული თანაფარდობა შეადგენდა: ვადით 2 წლამდე – 53,6%-ს (54,2%-ს), 2-დან 5 წლამდე – 21,2%-ს (21,0%-ს), 5-დან 15 წლამდე – 9,7%-ს (9,6%-ს), თავისუფლების სამუდამო აღკვეთა მიესაჯა 2,7%-ს (2,6%-ს). არასრულწლოვანების 12,3%-ს (12,2%) შეეფარდათ თავისუფლების აღკვეთა, მაშინ, როდესაც 2001 წელს საქართველოში 5-დან 15 წლამდე თავისუფლება აღკვეთილ პატიმართა რაოდენობა შეადგენდა 65%-ს (2000 წელს – 68,5%-ს), იგივე მონაცემები გერმანიაში იყო – 9,7% (2000 წელს – 9,6%). ზემოთ აღნიშნულით თუ ვიმსჯელებთ, ნათელია, რომ საქართველოში უფრო დიდი იმედი მყარდება თავისუფლების აღკვეთასა და მის პრევენციულ მოქმედებაზე, ვიდრე გერმანიაში, ამით არის განპირობებული არსებითად უფრო ხანგრძლივი დაპატიმრების ვადები. ნიშნული განსხვავება და გაკეთებული დასკვნა შეუზღუდავად შეიძლება გავრცობილ იქნეს ზოგადად აღმოსავლეთის ბლოკის სხვა ქვეყნებსა და დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებს შორის არსებულ ურთიერთმიმართებაზე.

საქართველოში 2000 წელს, „პატიმრობის შესახებ“ ახალი კანონის ძალაში შესვლისთანავე, სასჯელალსრულების დაწესებულებები შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებიდან გადავიდა იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში. მაშინდელმა შინაგან საქმეთა მინისტრმა, რომელიც 2001 წელს გათავისუფლებულ იქნა თანამდებობიდან და რომელსაც 2001 წლის მაისში დაუსვეს შეკითხვა ამ ცვლილების შედეგების თაობაზე, უპასუხა, რომ, მისი აზრით, ამ ქმედებამ მხოლოდ და მხოლოდ ზიანი მოუტანა სისტემას, რადგან ამ ცვლილების შედეგად დაიშალა აგენტურის უშველებელი ქსელი, რომელიც გამოიყენებოდა დანაშაულის გამოძიებისას. მისი სიტყვებით, ეს ქსელი უბადლო იყო პოლიციისათვის გამოძიების ჩატარებაში, ვინაიდან მისი დახმარებით იხსნებოდა მძიმე დანაშაულების 30%. ამ დროს, რუსეთის სასჯელალსრულების კანონისაგან განსხვავებით,¹¹ საქართველოში 2000 წლიდან არსებული კანონით დაუშვებელია საქმის გასახსნელად აგენტების გამოყენება ციხეებში იმ დანაშაულთან მიმართებით, რომელიც პატიმარმა ჩაიდინა სასჯელალსრულების დაწესებულების მიღმა, ანუ მის დაპატიმრებამდე.

მიღებული მონაცემები ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების ციხეებში არსებული დასავლური საზომით კატასტროფული პირობების შესახებ დადასტურდა თავისუფლების აღკვეთის ადგილებისა და ციხის საავადმყოფოს მონახულებით. 2001 წლის შუა პერიოდში მოვინახულეთ

⁸ *Pristawkin*, Ich flehe um Hinrichtung, Die Begnadigungskommission des russischen Präsidenten, 2003, 118.

⁹ იქვე, 373.

¹⁰ იქვე, 376.

¹¹ იხ.: *Lammich*, Das neue russische Strafvollzugsrecht, Zeitschrift für Strafvollzug und Straffälligenhilfe 46, 1997, 266-271.

მამაკაცთა ციხე თბილისში, ხოლო 2002 წლის შუა პერიოდში თბილისიდან რამდენიმე კილომეტრში არსებული ავჭალის მამაკაცთა კოლონია, აგრეთვე ვნახეთ ქალთა კოლონია და ციხის საავადმყოფო.

3. გამოკითხვის შედეგები

საპატიმროების რეფორმისა და პატიმართა მდგომარეობის გაუმჯობესების კონტექსტში, უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკური თვალსაზრისით, არ არის უმნიშვნელო ქართველი საზოგადოების, ისევე როგორც პასუხისმგებელ საჯარო მოხელეთა ხედვა სასჯელალსრულების სფეროში ცვლილებებთან დაკავშირებით. სხვადასხვა აზრის გათვალისწინების, ჩვენი პირადი დაკვირვებებისა და მრავალი პირადი საუბრიდან მიღებული თვალსაზრისის გადამონშების მიზნით, თუ რამდენად შეესაბამება იგი უშუალოდ ამ პროცესების მონაწილეთა და პატიმართა მიდგომას, შევიმუშავეთ სპეციალური კითხვარი და იუსტიციის სამინისტროსა და თბილისში არსებული გერმანული სამეცნიერო დაწესებულებების ხელშეწყობით ჩავატარეთ გამოკითხვა. ამ გამოკითხვის შედეგად დაახლოებით 800 კითხვარი გადაეცა სხვადასხვა ჯგუფს (პატიმრებს, აღმსრულებელ პერსონალს, მოსამართლეებს, ადვოკატებს, პროკურორებსა და იუსტიციის ორგანოების სხვა წარმომადგენლებს, აგრეთვე პოლიციელებს), რომელთაგან დაახლოებით 400 შევსებული დაგვიბრუნდა უკან. ამასთან, მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ ემპირიულ-კრიმინოლოგიური კვლევები და შესაბამისი სწავლება საქართველოში ნაკლებად არის განვითარებული. ემპირიულ-კრიმინოლოგიური კვლევა, მაგალითად, სასჯელალსრულების სფეროში თითქმის არ არსებობს, თუმცა ამავდროულად არსებობს დიდი ინტერესი და, შესაბამისად, მზადყოფნა კრიმინოლოგიური თემატიკის უკეთ დამუშავების მიმართ. ეს ცალსახად წარმოჩნდა 2003 წელს თბილისში გამართულ საერთაშორისო კრიმინოლოგიურ-სისხლისსამართლებრივ კონფერენციაზე, რომლის მოხსენებები გამოქვეყნებულია გერმანულ და რუსულ ენებზე¹². სწორედ ეს იყო ერთ-ერთი ის მიზეზი, რომლის გამოც ჩვენმა გამოკვლევამ დიდი რეზონანსი გამოიწვია, იგი არის ერთ-ერთი პირველი ემპირიულ-კრიმინოლოგიური კვლევა საქართველოში. თბილისში თუმცა არსებობს კრიმინოლოგიური სამუშაო ჯგუფების ჩანასახები, მაგრამ ისინი, უპირველეს ყოვლისა, ფინანსური სახსრების არარსებობის გამო ვერ ახერხებენ ემპირიულად მუშაობას. ამას ემატება ისიც, რომ ამ სამუშაო ჯგუფებს, როგორც წესი, არ გააჩნიათ ემპირიულ-კრიმინოლოგიური კვლევის გამოცდილება.

კვლევის ფარგლებში სხვადასხვა ჯგუფისათვის შემუშავდა სპეციალური, სტანდარტული კითხვარი, რომელიც შემდგომ ითარგმნა ქართულად. სხვადასხვა კითხვარის შინაარსი გარკვეულწილად ემთხვევა ერთმანეთს, რათა შესაძლებელი იყოს სხვადასხვა ჯგუფში მიღებული შედეგების განზოგადება. გამოკითხვა ყველა ჯგუფში ანონიმურად ჩატარდა. გამოკითხულ იქნა: 84 მამაკაცი პატიმარი, ციხის 73 თანამშრომელი, 195 მოსამართლე, პროკურორები, იუსტიციის სფეროს თანამშრომლები, ადვოკატები და პოლიციელები. ქვემოთ წარმოგიდგენთ შედეგების მოკლე მიმოხილვას.¹³

3.1 პატიმართა გამოკითხვა

84 პატიმარი მამაკაცის ასაკს შეადგენდა: 1,2% 19 წლამდე, 6,0% 20-დან 23 წლამდე, 29,8% 24-დან 30-მდე, 27,4% 31-დან 40-მდე, 19,0% 41-დან 50-მდე და 16,7% 50 წელს ზემოთ. პატიმრების 59,5%-ს აქვს ოჯახი, 58,3%-ს ჰყავს საკუთარი შვილები და მათ შორის: 22,6%-ს ჰყავს ერთი შვილი, 11,9%-ს ორი, 10,7%-ს სამი შვილი, 3,6%-ს ოთხი და 1,2%-ს ოთხ შვილზე მეტი. გამოკითხულების ნახევარზე

¹² Kury(Hrsg.), Strafrecht und Kriminalität, Entwicklungen in Mittel- und Osteuropa, Kriminalität und Kriminalpolitik in Europa, Bd. 1 deutsch, Bd. 2 russisch, Bochum (Brockmeyer).

¹³ Kury/Kapanadze/Lammich, Einstellungen zu Strafvollzug und Sanktionen in Georgien – Ergebnisse einer Umfrage, Zeitschrift für Strafvollzug und Straffälligenhilfe 52, 2003, 24-31.

მეტისათვის (52,4%) ეს პირველი პატიმრობაა, 4,8% იხდის თავისუფლების აღკვეთის პირველ წელს, 14,3% პატიმრობაშია უკვე თითქმის ორი წელი, 41,5% - 5 წლამდე და 39,3% - 5 წელზე მეტ ხანს. 40,5%-ს აქვს სრული პროფესიული განათლება. 70,2%-ს სასჯელის დარჩენილი ვადის შემოკლების იმედი აქვს, 36,9% იმედოვნებს ვადამდე პირობით გათავისუფლებას, 25,0%-ს შეწყალების იმედი აქვს და 17,9%-ს – ამნისტიისა. 20,2% არ იძლევა პასუხს. მონაცემების მიხედვით, შეწყალების იმედი პატიმრებში საკმაოდ დიდია და ის ეფუძნება საქართველოში შეწყალების ხშირ შემთხვევას, რასაც ადასტურებს ბოლო ხუთი წლის (1997-2001) მონაცემები. 7.500 პატიმრიდან 1997 წელს და 5.700-დან 2001 წელს ვადამდე გათავისუფლებულების (შეწყალების საფუძველზე) რიცხვმა შეადგინა: 1.417 – 1997 წელს, 918 – 1998 წელს, 3.352 – 1999 წელს, 766 – 2000 წელს და 169 – 2001 წელს. 2001 წლის შედარებით დაბალი მაჩვენებელი ალბათ იმითაა განპირობებული, რომ პატიმართა დიდმა რაოდენობამ საპრობილე მანამდე დატოვა ამ წელს გამოსული ამნისტიის შედეგად.

საინტერესოა მიზეზები, რომლებიც ჩვენ ბევრმა ქართველმა ექსპერტმა დაგვისახელა და რომელთა საფუძველზეც პატიმართა ვადამდელი გათავისუფლება საქართველოში, განსხვავებით რუსეთისაგან, შეწყალების საფუძველზე უფრო ხშირად ხდება, ვიდრე ამნისტიით. მათი სიტყვებით, ბრძანება შეწყალებაზე, ამნისტიისაგან განსხვავებით, გაიცემა ინდივიდუალურად, ეს კი იძლევა იმ ჩინოვნიკების მოსყიდვის საშუალებას, რომლებიც დაკავებული არიან ამა თუ იმ პატიმრის პირადი საქმით. ამ გარემოებას კი მივყავართ კორუფციის პრობლემასთან, რომელსაც საქართველოში ხშირად და საკმაოდ ღია ფორმით ვაწყდებით.¹⁴

რაც შეეხება სასჯელალსრულების შეფასებას, პატიმართა 40,5% აღნიშნავს, რომ იგი მათთვის „ძალიან მძიმეა“, 8,3%-ისათვის „მძიმეა“, 10,7%-ისათვის – „ნაკლებად მძიმე“ და 3,6%-ისათვის „არ არის მძიმე“. კითხვაზე – თუ რა არის განსაკუთრებით აუტანელი, პასუხი ასეთი იყო: 55,2% – მუშაობის შეუძლებლობა, 51,7% – ცუდი სანიტარიული პირობები, 50,0% – ცუდი კვება, 50,0% – გადავსებული საპატიმროები, 37,9% – ნათესავებთან (ცოლი, შვილი) ურთიერთობის შეზღუდული შესაძლებლობა, 29,3% – პატიმრების ურთიერთდამოკიდებულება, 3,4% – ძალადობა სხვა პატიმრების მხრიდან და 1,7% – ზედამხედველების დამოკიდებულება პატიმრებისადმი. 48,8%-მა აღნიშნა, რომ ისინი ისურვებდნენ საკანში მარტო ყოფნას, 47,6%-ს სურს საერთო საკანში დარჩენა (3,6%-მა არ გასცა პასუხი). 58,3%-მა უპასუხა, რომ აქვთ სურვილი, ჰქონდეთ რაიმე სახის სამუშაო ციხეში, მათგან 44,0%-მა აღნიშნა, რომ თავისუფლების დროს ისინი საკუთარი შრომით არ ინახავდნენ თავს, მაგრამ მუშაობაში დრო უფრო სწრაფად გადის. მხოლოდ 4,8%-მა თქვა, რომ ჰქონდათ უმნიშვნელო, მაგრამ მაინც შემოსავალი სამსახურიდან. 8,3% თვლის, რომ მუშაობით მათ ჰქონდათ გარკვეული, სხვა სახის უპირატესობა. 44%-ს სისტემატიურად ნახულობენ ახლობლები, რაც ნიშანდობლივია ხშირ შემთხვევაში არსებული დიდი მანძილებისა და ცუდი სატრანსპორტო მიმოსვლის გამო.

რაც შეეხება თვით თავისუფლების აღკვეთის მნიშვნელობას, 35,7% თვლის, რომ თავისუფლების აღკვეთას შეიძლება ჰქონდეს აღმზრდელიობითი და რესოციალიზაციის მნიშვნელობა, 35,7% თვლის, რომ თავისუფლების აღკვეთამ შეიძლება თავიდან აგვაცილოს შემდგომი დანაშაული. 23,8% გამოთქვამს საპირისპირო აზრს ამგვარი სახის სასჯელის ეფექტურობაზე. 65,5%-ის აზრით, საქართველოში არავითარ დახმარებას არ უწევს სასჯელმოსხმელებს, მხოლოდ 28,6% თვლის, რომ არის სპეციალური დაწესებულებები ყოფილი პატიმრების დასახმარებლად და მხარდასაჭერად. 57,1%-მა გამოთქვა სურვილი, იმუშაონ

¹⁴ Kury/Kapanadze/Lammich, Strafverfolgung in Georgien – Zum Problem Korruption, Zeitschrift für Strafvollzug und Straffälligenhilfe 52, 2003, 24-31.

განთავისუფლების მერე. 57,1%-ს უნდა, დაუბრუნდეს თავის ოჯახს, მათგან 27,4%-ს – მშობლებს, 4,8%-ს – სხვა ნათესაებს და 1,2%-ს – „კოლეგებს“. 8,3%-მა თქვა, რომ მათ არა ჰყავთ ახლობლები, რომლებთანაც შეძლებდნენ დაბრუნებას.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ სასჯელის მოხდა და დაპატიმრება არ შეიძლება განხილულ იქნეს ცალ-ცალკე. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამ მძიმე სასჯელის ზომით ძალზე დიდი ზიანი ადგება დაპატიმრებულის სოციალურ გარემოსა და, უპირველეს ყოვლისა, მის ოჯახსა და შვილებს. შესაძლებელია, რომ პატიმარი მნიშვნელოვან როლს ასრულებდეს თავისი შვილების აღზრდაში, მისი უცაბედი, ძალმომრეობითი ჩამოშორება აღმზრდელითი პროცესისაგან გამოუსწორებელ ზიანს აყენებს მისი შვილების სოციალურ თვითშეგნებას, ეს კი გარკვეულწილად ქმნის კრიზისულ სიტუაციას პარტნიორებს შორის, რის შედეგადაც კავშირი ხშირად ირღვევა. ბრალდებულები ხშირად მიეკუთვნებიან საზოგადოების დაუცველ ფენას, ქმრის დაპატიმრება იწვევს გამოუსწორებელ ფინანსურ სირთულეებს და ხშირად ოჯახის წევრებისა და, უპირველეს ყოვლისა, ბავშვების სტიგმატიზაციას.¹⁵

3.2 სასჯელალსრულების დაწესებულებების თანამშრომელთა გამოკითხვა

ბრალდებულთა გარდა გამოკითხულ იქნა სასჯელალსრულების სხვადასხვა დაწესებულების 73 თანამშრომელი. მათგან 4,1% არის 18-დან 24-მდე წლის ასაკში, 34,2% – 25-დან 34-მდე, 34,0% – 35-დან 50-მდე და 15,1% – 50 წელზე მეტის. რაც შეეხება ამ სფეროში მათი მუშაობის გამოცდილებას, 16,4% მუშაობს ამგვარ დაწესებულებაში ერთ წელზე ნაკლები, 27,4% – 1-დან 2 წლამდე, 23,3% – 5-დან 10 წლამდე, 6,8% – 11-დან 15 წლამდე, ხოლო 26,0% 15 წელზე მეტი; 52,1% ადრე მუშაობდა სხვა სფეროში, მათგან 32,9%, ანუ ერთი მესამედი, პოლიციაში, 4,1% სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებაში და 5,5% წარმოებაში. გამოკითხულთა ნახევარი (49,3%) აღნიშნავს, რომ მათ არ გააჩნიათ დღევანდელი საქმიანობისათვის შესაბამისი სპეციალური განათლება, 47,9% ამბობს, რომ აქვთ გარკვეული მცირედი სპეციალური მომზადება, 45,2% აღნიშნავს, რომ მათი სწავლა გრძელდებოდა 2 წელზე მეტ ხანს, 4,1%-ისა მხოლოდ 6 თვეს – ამკარაა, რომ მათ გაიარეს ტრენინგის მოკლე კურსი.

რაც შეეხება მოსაზრებას სანქციებისა და დასჯადობის შესახებ, 49,3% თვლის, რომ საქართველოში სასამართლოს იშვიათად გამოაქვს თავისუფლების აღკვეთის განაჩენი, 27,4%-ის აზრით, განაჩენის რაოდენობა შეესაბამება რეალურ სიტუაციას, ხოლო 19,2%, ანუ ერთი მეხუთედი, თვლის, რომ თავისუფლების აღკვეთის სანქცია გამოიყენება ხშირად. რაც შეეხება ხანგრძლივვადიან აღმკვეთ ღონისძიებას, სასჯელალსრულების თანამშრომლებს საკმაოდ მკაფიო პოზიცია აქვთ: 47,9% თვლის, რომ განაჩენი ადეკვატურია, 32,9%-ის, ანუ ერთი მესამედის აზრით, პატიმრობის ვადები უნდა შემცირდეს და 16,4% ფიქრობს, რომ, პირიქით, ვადები უნდა გაიზარდოს.

რაც შეეხება სასჯელალსრულების სფეროში არსებულ მდგომარეობასთან დამოკიდებულებას, ქვეყანაში არსებულ მძიმე საცხოვრებელ პირობებთან შედარებით, თანამშრომელთა 32,9% თვლის, რომ მდგომარეობა ციხეებში „კარგია“, 32,9% – „ცუდია“ და 23,3% – „ძალიან ცუდია“. 4,1% ციხეებში არსებულ პირობებს აფასებს როგორც „ძალიან კარგს“, 6,8%, როგორც „ზედმეტად კარგს“. ამით 43,8% გულისხმობს, რომ პირობები ციხეებში, სულ ცოტა, „კარგია“. მიუხედავად ამისა, თითქმის ყველა რესპონდენტი იზიარებს აზრს, რომ პირობები უნდა გაუმჯობესდეს, თუმცა გაუგებარია, გულისხმობენ თუ არა ისინი საკუთარი სამუშაო პირობების გაუმჯობესებას. 69,9%-მა მხარი

¹⁵ Kury/Kern, Frauen und Kinder von Inhaftierten: Eine vergessene Gruppe oder die hinzunehmenden Kolateralschäden, 2003.

დაუჭირა აზრს, რომ საჭიროა, ციხეებში გაუმჯობესდეს ყველაზე უფრო აუცილებელი საარსებო პირობები და 9,6% თვლის, რომ, უპირველეს ყოვლისა, შესაცვლელია სამართლებრივი საფუძვლები. თუმცა ყველა რესპონდენტის აზრით, საცხოვრებელი პირობები ციხეებში უნდა გაუმჯობესდეს, კითხვაზე – თუ რა არის მიზეზები, რომ ეს პირობები არ უმჯობესდება, პასუხი არ იყო. ამ შეკითხვის გამეორების შემდეგ 43,8%-მა აღნიშნა, რომ საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება არცთუ ისე მნიშვნელოვანი პრობლემაა, ვინაიდან შესაბამისი სახსრები უმჯობესია წარიმართოს ქვეყანაში ზოგადად საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებაზე. გამოკითხულთა 2,7% პირდაპირ მიუთითებს თავისუფლების აღკვეთის დამამინებელ ფუნქციაზე.

პატიმართა რესოციალიზაცია, გამოკითხულთა 52,1%-ის აზრით, ციხეებში არსებული პირობების გამო პრაქტიკულად შეუძლებელია, 13,7% თვლის, რომ ეს საერთოდ შეუძლებელია ნებისმიერ პირობებში და მხოლოდ 32,9%-ს სჯერა, რომ დამნაშავეს, რომელმაც სასჯელი მოიხადა ციხეში, გათავისუფლების მერე კვლავ შეუძლია თავი დაიმკვიდროს საზოგადოებაში. თანამშრომელთა 72,6%-ის აზრით, ციხეებში პატიმართა რაოდენობის შემცირება მნიშვნელოვნად შეუმსუბუქებდა ხვედრს დარჩენილ პატიმრებს, ხოლო, 65,8%-ის აზრით, – სამუშაოს თვით თანამშრომლებსაც.

პრობლემები, რომლებიც განსაკუთრებით ამძიმებენ სასჯელის მოხდას საქართველოში, გამოკითხულთა 69,9%-ის აზრით, აღმოცენდება კვალიფიცირებული პერსონალის უკმარისობით (მიზეზი – დაბალი ხელფასი), 68,5% ასახელებს მსჯავრდებულთა დაუსაქმებლობას, 58,9% - სახელმწიფოს მხრიდან ფინანსური მხარდაჭერის უკმარისობას, 15,1% – არაფორმალური სტრუქტურების (სუბკულტურების) არსებობას პატიმრებში და მათ მცდელობას, ზეგავლენა მოახდინონ ციხის ხელმძღვანელობაზე. ციხის ცუდი მმართველობა, დისციპლინური ზომების არასაკმარისად გამოყენება და პატიმართა ზომაზე მეტი უფლებები დასახელდა მიზეზებად გამოკითხულთა 3,7%-ის მიერ.

რესპონდენტების 61,1% თვლის, რომ სხვა სახელმწიფო მოსამსახურეებთან შედარებით მათი ხელფასი „ძალიან დაბალია“, 34,2%-ის აზრით, ისინი გამოიმუშავენ „ცუდად“, 4,1%-მა აღნიშნა, რომ მათ ადეკვატურად უხდიათ. 23,9%-მა აღნიშნა, რომ მათ იციან, ციხის თანამშრომლები კიდევ სხვა საქმიანობით არიან დაკავებულნი, 2,8%-ის აზრით, მათი რაოდენობა 25%-ია და 2,8%-მა კი განაცხადა, რომ მათი რაოდენობა 75%-ია. 34,2% თვლის, რომ ეს თანამშრომლები დაკავებული არიან კერძო სანარმოებში (წარმოება), 19,2% – საკუთარ სანარმოებში, აგრეთვე საკუთარ სასოფლო სამეურნეო მეურნეობებში. 89,0% აღიარებს, რომ ბევრი მათგანი მუშაობს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ არ იყვნენ უმუშევრები. 27,4%-მა თქვა, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მუშაობას მათთვის სიხარული მოაქვს, 38,4%-მა ხაზი გაუსვა, რომ სამუშაო მათ სიამოვნებას არ ანიჭებს, 19,2%-მა კი აღნიშნა, რომ ასეთი სამუშაო არანაირ გარემოებაში არ შეიძლება იყოს სასიამოვნო.

სიტუაცია ციხეებსა და კოლონიებში ძლიერ არის დამოკიდებული იქ მომუშავე პერსონალზე. არახელსაყრელი პირობები, რომლებშიც მოსამსახურე პერსონალი იმყოფება საქართველოში, უპირველეს ყოვლისა, დაბალი ხელფასის გამო, უნდა ვაღიაროთ, რომ ნეგატიურად აისახება პატიმართა შესაძლო რესოციალიზაციის პროცესზე.

3.3 იურისტებისა (მოსამართლეები, პროკურორები) და პოლიციელების გამოკითხვა

გამოკითხული იქნა 195 მოსამართლე, პროკურორი და პოლიციელი. მათგან 74,4% არის მოსამართლე, 4,6% პროკურორი და 20,0% პოლიციელი. კითხვაზე – თუ რას ფიქრობენ ისინი თავისუფლების აღკვეთის ზომაზე საქართველოში, 19,0%-მა, ანუ ერთმა მეხუთედმა, განაცხადა, რომ ამ მძიმე სანქციის ხვედრითი წილი „ძალიან უმნიშვნელოა“, 46,6% თვლის, რომ ამ სანქციის რაოდენობა „ზუსტად შეესაბამება რეალობას“, მაგრამ ამავედროულად, 97,9%-ის

აზრით, ასეთი განაჩენის რაოდენობა „ძალიან მაღალია“. გამოკითხულთა 65,1% თვლის, რომ სანქცია, რომელიც არ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას, არ ითვლება სასჯელად საქართველოს მოსახლეობისათვის. ამ აზრს არ ეთანხმება გამოკითხულთა მხოლოდ 34,9%. გამოკითხულთა ორი მესამედი თვლის, რომ მოსახლეობა ანტიკრიმინალურ ღონისძიებად მხოლოდ თავისუფლების აღკვეთას თვლის, რასაც არავითარ შემთხვევაში არა აქვს ემპირიული საფუძვლები. 39,0% ფიქრობს, რომ თავისუფლების აღკვეთის პირობითი განაჩენების რიცხვი „სინამდვილეს შეესაბამება“, 30,8% თვლის, რომ ამ სანქციის რაოდენობა ცოტაა, ხოლო 29,2%-ის აზრით, ეს სანქცია ზომაზე მეტად ხშირად გამოიყენება.

გამოკითხულთა 16,4% მიიჩნევს, რომ მკაცრ სასჯელს შეუძლია კრიმინოგენული სიტუაციის გაუმჯობესება, 1,5% თვლის, რომ ამ გზით შესაძლებელია დანაშაულის რაოდენობის არსებითად შემცირება, 41,5%-ის აზრით, მხოლოდ „მცირედით“ და 40%-ს არ სჯერა მკაცრი სანქციების დამაშინებელი ეფექტის. ამგვარად, დაახლოებით 60%-ს მეტ-ნაკლებად სწამს თავისუფლების აღკვეთის დანაშაულის პრევენციული ფუნქციისა, მათ შორის დაახლოებით 40% ამ სანქციას ნაკლებად ეფექტიანად, ხოლო 20%, ანუ მეხუთედი, მნიშვნელოვნად მიიჩნევს. 69,7%, ანუ ორი მესამედი, თავისუფლების აღკვეთის საშუალო ხანგრძლივობას საქართველოში გამართლებულად თვლის, 10,3% მიიჩნევს, რომ უნდა იყოს უფრო ხანგრძლივი და 19,5%-ის, ანუ დაახლოებით მეხუთედის აზრით, უფრო მოკლევადიანი. წინასწარი პატიმრობა გამოკითხულთა 22,1%-ის თანახმად, უფრო ხშირად უნდა იქნეს გამოყენებული, 39%-ის ხედვით, ახლანდელი პრაქტიკა მიზანშეწონილია და 38,5% მიიჩნევს, რომ მისი გამოყენება ზედმეტად ხშირად ხდება.

სასჯელის ალტერნატიული ზომის შესახებ 37,9% თვლის, რომ საქართველოში იგი საკმაოდ ხშირად გამოიყენება, 27,4% ემხრობა აზრს, რომ იგი უფრო ხშირად უნდა იქნეს გამოყენებული, 17,9%-ის აზრით, ასეთი ღონისძიებები ზომაზე ხშირად გამოიყენებული. ყველაზე უფრო გავრცელებული მოსაზრება თავისუფლების აღკვეთის განაჩენისა და პატიმრობის ვადის ხანგრძლივობის მართლზომიერებაზე, 57,9%-ის აზრით, არის ის, რომ ამგვარად შესაძლებელია დაიცვა საზოგადოება დანაშაულისაგან, 24,1% თვლის, რომ პატიმრობაში შესაძლებელია, ხელახლა აღზარდო ადამიანი, 19,5%-ის აზრით, სასჯელის ეს ზომა აშინებს დამნაშავეს და იგი თავს იკავებს შემდეგი დანაშაულის ჩადენისაგან, 11,8% თავისუფლების აღკვეთას ზოგად პრევენციულ ზომად თვლის.

48,7%, ანუ გამოკითხულთა ნახევარი, თვლის, რომ თავისუფლების აღკვეთის განაჩენის რაოდენობა საქართველოში უნდა შემცირდეს. 47,7%, ანუ თითქმის იგივე რაოდენობა რესპონდენტებისა თვლის, რომ არ არსებობს შემცირების არავითარი საჭიროება მაშინაც კი, როცა ციხეები გადავსებულია. თავისუფლების აღკვეთის განაჩენის რიცხვის შესამცირებლად გამოკითხულთა 40,5% თვლის, რომ საჭიროა კანონში ცვლილებების შეტანა, ხოლო 50,8% ამ აზრს არ ეთანხმება.

4. შეფასება

კვლევის შედეგები თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ საქართველოში, ისევე როგორც ყოფილი აღმოსავლეთის ბლოკის ქვეყნებში, ხანგრძლივადიანი თავისუფლების აღკვეთა, როგორც სასჯელი, საკმაოდ ხშირად გამოიყენება. ეს მიუთითებს, რომ დასჯადობა ამ ქვეყნებში საკმაოდ მაღალია, რაც ნათელი ხდება ამ ქვეყნებში დანაშაულსა და სასჯელზე და, აგრეთვე, რესოციალიზაციაზე მსჯელობის კონტექსტში.¹⁶ დანაშაულისა და სანქციის სფეროში ყოფილი

¹⁶ Kury/Obergfell-Fuchs/Würger, Strafeinstellungen, Ein Vergleich zwischen Ost- und Westdeutschland, 2002. Pristawkin, Ich flehe um Hinrichtung, Die Begnadigungskommission des russischen Präsidenten, 2003.

აღმოსავლეთის ბლოკის ქვეყნები განსხვავდებიან დასავლეთის სახელმწიფოებისაგან, უპირველეს ყოვლისა, ორი ნიშნით: ოფიციალურად რეგისტრირებული დანაშაულის ინტენსიურობა მნიშვნელოვნად დაბალია მაშინ, როდესაც პატიმართა რაოდენობა გაცილებით მაღალია; სანქციების სიმკაცრე, რომელიც გამოიხატება თავისუფლების აღკვეთის ხშირი გამოყენებით და რომელიც ბევრ ქვეყანაში ძნელად და ნელ-ნელა იცვლება. სანქციების ალტერნატიული ფორმები, რომლებიც დასავლეთის ქვეყნებში უკვე მრავალი წლის განმავლობაში განიხილება, მაგალითად დივერსიული ღონისძიებების ფარგლებში ჩამდენისა და მსხვერპლის ინტერესების დაბალანსება თუ მიყენებული ზიანის აღმოფხვრა, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის, როგორც წესი, უცნობი რჩება.¹⁷ მოსახლეობასა და ნაწილობრივ ოუსტიციის ორგანოებს ამ სახის სანქციებთან დაკავშირებით ნაკლები გამოცდილება აქვთ და ამიტომაც ერთგვარად აყოვნებენ მათ დამკვიდრებას. ამ პერსპექტივიდან არ არის გასაკვირი, რომ გამოკითხულთა 65,1%, ანუ დაახლოებით ორი მესამედი, გამოკითხული იურისტებისა და პოლიციის თანამშრომლებისა მიიჩნევენ, რომ სანქციები, რომლებიც არ ითვალისწინებენ თავისუფლების აღკვეთას, საზოგადოებაში არ აღიქმება სასჯელად და მხოლოდ 34,9%, ანუ მესამედი, უარყოფს ამ მოსაზრებას. თუმცა არ არის ნათელი, თუ რამდენად ობიექტური არიან (სისხლის სამართლის) იურისტები და ხომ არ ხდება მიკერძოებული შეფასება. ამ საკითხთან დაკავშირებით ემპირიული მონაცემები, როგორც აღინიშნა, არ არსებობს.

მიუხედავად კატასტროფულად გადატვირთული ციხეებისა და ამ ციხეებში არსებული ცუდი პირობებისა, გამოკითხულები კვლავაც რჩებიან სანქციების არსებული პრაქტიკის მომხრეები. მოსახლეობა მხარს უჭერს მკაცრი სანქციების გამოყენებას და მნაშავეთა დასასჯელად, ეს ყოველთვის ასე იყო და ამგვარ მიდგომასთან დაკავშირებით დაგროვდა გამოცდილება, ამიტომაც სისტემის შეცვლა კონტრაპროდუქტულად აღიქმება. რწმენა იმისა, რომ სამართალდამრღვევს უნდა მოეპყრო მკაცრად, იმდენად ღრმად არის გამჯდარი ადამიანების ცნობიერებაში, რომ ამ საკითხზე, როგორც წესი, არავინ აღარ სვამს კრიტიკულ კითხვას. დასავლეთის ქვეყნებში ხშირად იშველიებენ მაგალითად ბიბლიას, რომლითაც დამკვიდრდა და რომლის მიხედვითაც გამოიყენებოდა მკაცრი სანქციები.¹⁸

კიდევ უფრო მკაცრად უღერს იურისტთა და პოლიციის თანამშრომელთა აზრი სასჯელის გამკაცრების თაობაზე, თუმცა ეს გასაკვირი არ არის, დასავლეთის იმავე წრეებში შეიმჩნევა მსგავსი მოსაზრება სასჯელის გამკაცრების თაობაზე.¹⁹ ამ ჯგუფიდან 97,9% თვლის, რომ საქართველოში თავისუფლების აღკვეთის განაჩენის შეფარდებითი წილი „ძალიან მაღალია“, იმავდროულად თითქმის ნახევარი (45,6%) თვლის, რომ ეს განაჩენი „გამართლებულია“ და მხოლოდ ერთი მეხუთედი (19,0%) მიიჩნევს, რომ განაჩენი „ძალიან მცირეა“. ერთი მხრივ, თითქმის ყველა გამოკითხული თვლის, რომ საქართველოში ხშირად მიმართავენ თავისუფლების აღკვეთას, მაგრამ მათგან ნახევარი მიიჩნევს, რომ ქვეყნის კრიმინალური სიტუაციისა და მისი დინამიკის გათვალისწინებით ეს ღონისძიება სრულიად აუცილებელია, ერთი მეხუთედის აზრით კი, მიღებული ზომები საკმარისი არ არის. შესაბამისად, ერთი მესამედი (30,8%) ფიქრობს, რომ გამოყენებული პირობითი სასჯელის რიცხვი „ძალიან დაბალია“, „გამართლებულია“ – უპასუხა დაახლოებით 39,0%-მა, „ძალიან მაღალია“ – 29,2%-მა. რაც შეეხება თავისუფლების აღკვეთის

¹⁷ Tarbagaev, Alternative sanctions in Russian criminal law: Historical roots and present-day trends, Review of Central and East European Law 24, 1998, 329-359.

¹⁸ შეად., მაგალითად, Bugge, Denn sie wissen nicht, was sie glauben – oder warum man redlicher Weise nicht mehr Christ sein kann, Eine Streitschrift, Reinbek bei Hamburg (Rowohlt), 1992.

¹⁹ შეად., მაგალითად, Kaiser, Die Stellung des Verletzten im Strafverfahren, Implementation und Evaluation des „Operschutzes“, 1992.

საშუალო ვადას საქართველოში, ორი მესამედი (69,7%) თვლის მათ გამართლებულად, ერთი მეხუთედი (19,5%) მიიჩნევს, რომ იგი უნდა შემცირდეს და ერთი მეათედი (10,3%) ემხრობა უფრო ხანგრძლივი სანქციის გამოყენებას დამნაშავეთა მიმართ.

სანამ სისხლის სამართლის იურისტები არ გადასინჯავენ მათ დამოკიდებულებას თავისუფლების აღკვეთის სანქციის მიმართ, თავისუფლება აღკვეთილთა მდგომარეობაც არსებითად ნაკლებად შეიცვლება. გამოკითხულთა 40,5%-ს თავისუფლების აღკვეთის ზომის გამოყენების შემცირებისათვის კანონის შეცვლა აუცილებლად მიაჩნია. ეს მარტივად შეიძლება იქცეს ე.წ. ალიბ-არგუმენტად. საქართველოს ამჟამინდელი სისხლის სამართლის კოდექსიც უდავოდ საკმარის შესაძლებლობებს იძლევა თავისუფლების აღკვეთის სანქციის უფრო ნაკლები რაოდენობითა და არსებითად უფრო მცირე ხნით შეფარდებისათვის. გამოკითხულთა 37,9%-ს მიაჩნია, რომ თავისუფლების აღკვეთის ალტერნატიული სასჯელები საკმარისად გამოიყენება, მხოლოდ მეოთხედი (27,4%) ემხრობა მათ უფრო ხშირ გამოყენებას, ხოლო 17,9% მიიჩნევს, რომ ისინი ზედმეტად ხშირადაც კი გამოიყენებიან. ესეც იმას მიუთითებს, რომ გამოკითხულთა უმრავლესობა ემხრობა არსებული სანქციების, უპირველეს ყოვლისა, თავისუფლების აღკვეთის შენარჩუნებას. არ იქნება იოლი გამოცდილი მოსამართლის დარწმუნება შეცვლილი სანქციების სისტემის უპირატესობაში. სავარაუდოდ, ეს იქნება იურისტთა ახალი თაობა, რომელიც განსხვავებული განათლების პირობებში უფრო ღიად შეხვდება თავისუფლების აღკვეთის ალტერნატიულ სანქციებს. ამასთან, უდიდეს მნიშვნელობას იძენს ის გარემოება, რომ არსებული ფინანსური საშუალებები, მიმართული დანაშაულის პრევენციული ღონისძიებების გასატარებლად, მაქსიმალური ეფექტიანობით იქნეს გამოყენებული.²⁰

ჩვენს ხელთ არსებული მაგალითები პატიმართა შეწყალების საკითხის გადასაწყვეტად თანამდებობის პირების (შესაძლო) მოსყიდვასთან დაკავშირებით, რა თქმა უნდა, უნდა იქნეს განხილული საქართველოში, ისევე როგორც ყველა სხვა ეკონომიკური პრობლემების მქონე ქვეყანაში, არსებული კორუფციის ფონზე.²¹ ამასთან, მუდმივად უნდა ვითვალისწინებდეთ იმ ფაქტს, რომ, როგორც ბოლო დროს სულ უფრო და უფრო ნათელი ხდება, კორუფცია გერმანიაშიც პრობლემაა, რასაც საზოგადოებაც მრავალი პუბლიკაციის წყალობით სულ უფრო დიდ ყურადღებას უთმობს.²² კორუფცია, როგორც ჩანს, გარკვეულ როლს ასრულებს თავისუფლების აღკვეთის დანესებულებებშიც. ბრუნი და მიშკოვიცი აღწერენ პოლიციაში, იუსტიციის სფეროში, საბაჟო სამსახურსა და თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მათ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებს.²³ აღმოჩნდა, რომ, გამოკითხულთა 16,7%-ის აზრით, სასჯელალსრულების ადგილებში კორუფციას „ძლიერად“ და, 3,3%-ის აზრით, „ძალიან ძლიერად“ აქვს ფეხი მოკიდებული. კორუფციას ამ სფეროში საკმაოდ სერიოზულ პრობლემად მიიჩნევს ყოველი მეხუთე რესპონდენტი. ამასთან, სასჯელალსრულების სფეროს წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ ისინი კორუფციის პრობლემასთან ბევრად უფრო ნაკლებად არიან შეხებაში, ვიდრე სხვა გამოკითხულები. კითხვაზე – თუ რა ფაქტორი უწყობს ხელს კორუფციას ყველაზე მეტად, თავისუფლების აღკვეთის ადგილების თანამშრომლები პასუხობენ, რომ ეს არის ფასეულობების დევალვაცია საზოგადოებაში (56,7%), ხელმძღვანელი პირებისა და პოლიტიკოსების მხრიდან კარგი მაგალითის არქონა (53,3%) და მხოლოდ მესამე ადგილს იკავებს ფინანსური პრობლემები, ვალების წნეხისაგან განთავისუფლების სურვილი (46,7%). ამ

²⁰ შეად., მაგალითად, Aos, Cost and benefits of criminal justice and prevention programs, in: *Kury/Obergfell-Fuchs* (Eds.), *Crime prevention – new approaches*, Mainz (Weisser Ring), 2003, 413-442.

²¹ შეად., მაგალითად, *Sortin/Rdulescu*, The phenomenon of corruption as a type of social innovation within the context of the spiritual state that characterizes Romania in transition, *Romanian Journal of Sociology* 4, 1993, 155-166.

²² შეად. *Kury/Würger*, Was denken die Deutschen über Korruption, *Kriminalistik* 58, 2004, 300-309; *Kury*, Wie korrupt sind die Deutschen? Bestechung fängt klein an, *Readers Digest*, März 2004, 96-99.

²³ *Bruhn/Mischkowitz*, Korruption im Strafvollzug – ein Problem? *Zeitschrift für Strafvollzug und Straffälligenhilfe* 50, 2001, 262.

გამოკვლევის ავტორთა აზრით, ისეთ მაღალ დონეზე ორგანიზებულ და კარგად ფუნქციონირებად სასჯელალსრულების სისტემაშიც კი, როგორცაა გერმანული, უნდა ვალიაროთ, „რომ ყველა ანალიზისა თუ რეფორმის და მათი დაუყოვნებლივ ცხოვრებაში გატარების მიუხედავად, ზოგჯერ მანც შესაძლებელია გამოვლინდეს კორუფციის შემთხვევები“.²⁴ გასაკვირი არ არის, რომ არსებითად უარეს სასჯელალსრულების პირობებში და ზოგადად უარესი ცხოვრების პირობებში საქართველოში კორუფციის პრობლემაც არსებითად უფრო დიდია.

სასჯელალსრულების სისტემაში არსებული კორუფციის შემთხვევები საქართველოში ნაკლებად გასაკვირია, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ კორუფცია ზოგადად ფართოდაა გავრცელებული და უკვე სასაზღვრო საკონტროლო პუნქტიდანვე თვალშისაცემია უცხოელი-სათვის, მაგალითად აეროპორტში, სადაც პასპორტში ჩადებულ ფულის კუპირას ქვეყანაში შესვლის პროცედურის მნიშვნელოვნად დააჩქარებდა შეუძლია. პოლიციელის მოსყიდვის მაგალითს ყოველდღიურად ვაწყდებით ქუჩაში, ყოველ შემთხვევაში ქვეყნის ცალკეულ რეგიონში, რასაც პოლიციის თანამშრომლების მცირე ხელფასით ხსნიან. სხვა დანესებულებების თანამშრომლებს უკეთესი ხელფასები არა აქვთ, მაგრამ მათ, აგრეთვე, არა აქვთ შესაძლებლობა, იოლად აიმაღლონ შემოსავალი ისე, როგორც პოლიციელებს შეუძლიათ ამის გაკეთება. საქართველოში ჩვენი ორკვირიანი ვიზიტის დროს მრავალჯერ მოგვეცა შესაძლებლობა, თვალი გვედევნებინა პოლიციის მხრიდან ქრთამის აღების ფაქტებისათვის, აგრეთვე, გვეჩვენა, თუ როგორ შეიძლება გავლენა მოახდინო პოლიციელის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაზე.

ამგვარად, გერმანიასთან შედარებით სიტუაცია სასჯელალსრულების ადგილებში კატასტროფულია საქართველოსა და ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა ქვეყნებში. თუმცა ასეთი შეფასება მეტისმეტად მკაცრია, თუ სიტუაციას სასჯელალსრულების ადგილებში შევადარებთ მთლიანად ქვეყანაში არსებულ ცხოვრების პირობებს. ასევე, თუ შევადარებთ ციხეების მდგომარეობას დასავლეთის ქვეყნების ციხეებს, რა თქმა უნდა, პატიმრების მდგომარეობა საქართველოში ძალიან ცუდია და კატასტროფულიცაა, თუმცა ანალოგიური შეფასება შეიძლება გამოვიყენოთ მოსახლეობის დიდი ნაწილის მდგომარეობის დახასიათებისას, განსაკუთრებით, როცა ვადარებთ მათ მდგომარეობას გერმანიის მოსახლეობის მდგომარეობას.

მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ პატიმრები იმყოფებიან ადამიანის ღირსებისათვის დამამცირებელ პირობებში. გადავსებულ ციხეებში შეუძლებელია პატიმარს ჰქონდეს პირადი ცხოვრება, ბუნებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება კი „საჯაროდ“ საკნის კუთხეში მოთავსებულ მოწყობილობასთან ხდება. საკვები არა მხოლოდ უბრალოა, შედეგადაც, მაგალითად, კარტოფილისა თუ კომბოსტოს წვნიანისაგან, არამედ ხშირად არასაკმარისიცაა. სამედიცინო მომსახურება, თუ არსებობს, არასრულფასოვანია. მდგომარეობა საჭიროებს დაუყოვნებლივ შეცვლას, თუმცა მეტი ფინანსური სახსრები სასჯელალსრულების სისტემისათვის ნაკლებად სავარაუდოა გამოიყოს უახლოეს მომავალში. აუცილებელი სახსრების ამ მიზნით დახარჯვა საზოგადოებაში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით პოლიტიკურად გაუმართლებელიც იქნებოდა. არსებობს თანხმობა იმასთან მიმართებით, რომ შესაძლებელია პატიმართა რიცხვის შემცირებით სასჯელალსრულების სისტემაში არსებული მდგომარეობის მნიშვნელოვნად გაუმჯობესება.

ზემოთ აღნიშნული უნდა მივიჩნიოთ სასჯელალსრულების სისტემაში არსებული მდგომარეობის თანდათანობით გაუმჯობესების რეალურ მიდგომად. მნიშვნელოვანია სათანადო ინფორმაციის მიწოდება გადაწყვეტილების მიმღები პირებისა და მოსახლეობისათვის თავისუფლების აღკვეთის პრევენციულობის ნაკლებად ეფექტიანობისა და მისი შეუდარებლად მაღალი ხარჯების შესახებ. დასავლეთევროპულ ქვეყნებთან შედარებით ხშირად შეფარდებულ თავისუფლების

²⁴ Bruhn/Mischkowitz, Korruption im Strafvollzug – ein Problem? Zeitschrift für Strafvollzug und Straffälligenhilfe 50, 2001, 266.

აღკვეთას, როგორც სისხლის სამართლის სანქციას, დანაშაულის ჩადენის აღკვეთის კუთხით აშკარად მცირე ეფექტი მოაქვს. გერმანიის მაგალითი თვალნათლივ აჩვენებს, რომ თავისუფლების აღკვეთის სანქციის გამოყენების მკვეთრი შემცირება არავითარ შემთხვევაში არ გამოიწვევს კრიმინოგენული სიტუაციის გაუარესებას. მაშინ როდესაც გერმანიაში 1880 წელს, თითქმის 125 წლის წინ, განაჩენის 80% ითვალისწინებდა თავისუფლების აღკვეთას, დღეს მისი წილი 6%-მდე შემცირდა. ამასთან, მნიშვნელოვნად გაიზარდა ფულადი ჯარიმისა და სასჯელის სხვა ალტერნატიული ფორმების გამოყენების ხვედრითი წილი.²⁵ იუსტიციის სისტემა მიზანმიმართულად უნდა ატარებდეს საინფორმაციო საგანმანათლებლო ღონისძიებებს, რათა დაარწმუნოს შესაბამისი ორგანოები თავისუფლების აღკვეთის მაგივრად ალტერნატიული ზომების უფრო ხშირ გამოყენებაში. ამასთან, უდავოა, რომ ფულადი ჯარიმა, რომელიც უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს დასავლეთში, საქართველოში არ შეიძლება იყოს ბლაგვი მახვილი მოსახლეობაში არსებული სიღარიბის გამო, რადგანაც მას, როგორც წესი, ჯერჯერობით არ შესწევს უნარი, გადაიხადოს მაღალი ჯარიმა. თუმცა არსებობს არაერთი ისეთი სხვა შესაძლებლობა, რომელთაც შეუძლიათ, უპირველეს ყოვლისა, ნაკლებად მძიმე შემთხვევებში წვლილი შეიტანონ კონფლიქტების მოგვარებაში. ასეთია, მაგალითად, ისეთი ინდივიდუალური ღონისძიებები, როგორებიცაა ჩამდენისა და მსხვერპლის ინტერესების დაბალანსება, ბოდიშის მოხდა ან საზოგადოებრივად სასარგებლო სამუშაოს შესრულება.²⁶

საქართველოს სისხლის სამართლის ახალი კოდექსის²⁷ III ნაწილის X თავი ეხება „სასჯელის მიზანსა და სახეობებს“. სასჯელის მიზნად სამართლიანობის აღდგენისა და შემდგომი დანაშაულის პრევენციის გარდა გამოცხადებულია დამნაშავეთა რესოციალიზაცია.²⁸ თუმცა ეს ჯერჯერობით მხოლოდ დეკლარაციად რჩება. ამავე მუხლში ხაზგასმულია, რომ სასჯელის მიზანი არ შეიძლება იყოს ფიზიკური ტანჯვის მიყენება, დამცირება ან პიროვნებისა და მისი ღირსების შეურაცხყოფა.²⁹ კოდექსის მე-40 მუხლში მოცემულია სანქციების სახეები, სადაც, უპირველეს ყოვლისა, მოხსენიებულია ფულადი ჯარიმა, მას მოჰყვება: გარკვეული თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის წარმართვის უფლების ჩამორთმევა, საზოგადოებრივად სასარგებლო სამუშაოს შესრულება, იძულებითი სამუშაო, სამხედრო სამსახურთან დაკავშირებული შეზღუდვები, თავისუფლების შეზღუდვა (შესაბამის დანესებულებაში მოთავსება, საზოგადოებისაგან სრული იზოლაციის გარეშე), მოკლევადიანი პატიმრობა 1-დან 6 თვემდე, ხანგრძლივადიანი – 20-დან 30 წლამდე და, საბოლოოდ, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის – სამუდამო პატიმრობა. სამუდამო პატიმრობის შეფარდება ვრცელდება იმ პირებზე, რომლებიც დანაშაულის ჩადენის მომენტში 18-დან 60 წლამდე ასაკში იმყოფებიან. თავისუფლების აღკვეთა არ გამოიყენება 16 წლამდე ასაკის არასრულწლოვანების, ფეხმძიმე ქალებისა და იმ ქალების მიმართ, რომელთაც ჰყავთ 7 წლამდე ასაკის შვილი. XVI თავი ეთმობა სანქციის შეფარდებას და 53-ე მუხლი მიუთითებს, რომ უფრო მძიმე სანქცია გამოიყენება მაშინ, როდესაც ნაკლებად მძიმე სანქციით ვერ იქნება მიღწეული სასჯელის შეფარდების მიზანი. 55-ე მუხლი ცალსახად მიუთითებს, რომ დანაშაულის შემამსუბუქებელი გარემოებების არსებობისას სასამართლოს შეუძლია, დამნაშავის პიროვნების გათვალისწინებით, კანონით მოცემულ მინიმალურ ზღვარზე უფრო მცირე სასჯელის ზომის გამოყენება. ამგვარად, სასამართლოს სანქციების გამოყენებისას მინიჭებული აქვს დიდი თავისუფლება, ცალკეული შემთხვევის დეტალების მხედველობაში მიღებით გამოიყენოს უფრო რბილი სანქციები.

²⁵ Kaiser, *Kriminologie, Ein Lehrbuch*, 1996, 986.

²⁶ Walther, *Möglichkeiten und Perspektiven einer opferbezogenen Gestaltung des Strafvollzugs*, 2002.

²⁷ Council of Europe 2002, 11.

²⁸ 39-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

²⁹ 39-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

სამართლებრივი ტანდენციები

შესაბამისად, მძიმე სანქციების გამოყენების შემცირებას წინ არ ელოდება კანონის მოთხოვნები, პირიქით, მოსამართლე ნახალისებული და მონოდებულია, შეამონმოს, ხომ არ შეიძლება უფრო ნაკლებად მძიმე სანქციით სასჯელის შეფარდების მიზნის მიღწევა.

ამგვარად, თვითონ სასამართლო არის ის ორგანო და მოსამართლე ის პირი, რომელთაც სასჯელის ფორმის განსაზღვრაში გადამწყვეტი სიტყვა მიეცემა და ძალუძთ, მნიშვნელოვნად შეუწყონ ხელი ციხეებში პატიმრების რიცხვის შემცირებას. ისინი არიან პასუხისმგებელი სასჯელის შეფარდებაზე და არ არის მათი მხრიდან გამართლებული აპელირება „არახელსაყრელ“ კანონებზე, რომლებიც უნდა შეიცვალოს. სისხლის სამართლის კოდექსის მე-40 მუხლში მოცემულია სასჯელის ალტერნატიული სახეები, როგორებიცაა: ფულადი ჯარიმა, საზოგადოებრივად სასარგებლო სამუშაოს შესრულება, იძულებითი სამუშაო როგორც თავისუფლების აღკვეთის შემცვლელი, ალტერნატიული ზომები. საჭიროა მხოლოდ და მხოლოდ, რომ მოსამართლეები კარგად გაეცნონ სასჯელის ალტერნატიულ მეთოდებს და გააცნობიერონ მათი უპირატესობები. რაც უფრო მეტად დარწმუნდებიან ისინი ამ ზომის ეფექტიანობაში, მით უფრო ხშირად მიმართავენ მათ, რაც თავისთავად გამოიწვევს პატიმრების რიცხვის შემცირებას ციხეებში. სამწუხაროდ, ჩვენმა გამოკითხვამ დაადასტურა გარკვეული სკეპტიკური დამოკიდებულება სასჯელის ალტერნატიული მეთოდების მიმართ. დასავლეთის განვითარებული ქვეყნების გამოცდილებას ამ მხრივ მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია. სანქციების ახლებური მეთოდების შემოტანასთან ერთად, შეიცვლება მოსახლეობის დამოკიდებულება მოცემულ საკითხზე. ამას კი, უპირველეს ყოვლისა, დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა. ამჟამად არსებული სანქციების გამოყენების პრაქტიკა საქართველოსა და სხვა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყანაში მნიშვნელოვნად არის განპირობებული იმით, რომ არსებობს ილუზია თავისუფლების აღკვეთის სანქციის გამოყენების აუცილებლობის შესახებ, რასაც თითქოს შეუძლია დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა. უნდა მოხდეს დამნაშავეების მიმართ მოპყრობის ახალი, ნაკლები ჩარევისა და ღირებულების მატარებელი საშუალებების პოპულარიზაცია და გაიზარდოს მათ მიმართ ნდობა.